ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 419

"25" აგვისტო 2023 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ოთარ ჩეჩელაშვილის ქუჩის მონაკვეთისთვის, მასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის, მნათობის ქუჩის მონაკვეთისთვის, პეტრე ბაგრატიონის ქუჩის მონაკვეთისთვის, პაატა სააკაძის ქუჩის მონაკვეთისთვის და მნათობის ჩიხის მონაკვეთისთვის მწერლის ზაირა არსენიშვილის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ჩუღურეთის რაიონში, ოთარ ჩეჩელაშვილის ქუჩის მონაკვეთს, მასთან მდებარე უსახელო ქუჩას, მნათობის ქუჩის მონაკვეთს, პეტრე ბაგრატიონის ქუჩის მონაკვეთს და პაატა სააკაძის ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს მწერლის ზაირა არსენიშვილის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ჩუღურეთის რაიონში, პაატა სააკაძის ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს მწერლის ზაირა არსენიშვილის I ჩიხის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

3. ჩუღურეთის რაიონში, ოთარ ჩეჩელაშვილის ქუჩასთან მდებარე ორ უსახელო ჩიხს მიენიჭოს მწერლის ზაირა არსენიშვილის I და II ჩიხის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

4. ჩუღურეთის რაიონში, ოთარ ჩეჩელაშვილის ქუჩის მონაკვეთს და მნათობის ჩიხის მონაკვეთს მიენიჭოს მწერლის ზაირა არსენიშვილის I შესახვევის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

5. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

6. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე


X:485470 Y:4618092
4895 Y:4617850
I შეს
X:485119 Y:4617829
X:485145 Y:4617826
II ჩიხი
X:485366 Y:4617813
ზაირა არსენიშვილის ქ.
X:485248 Y:4617819
III ჩიხი
X:485433 Y:4617784
X:485059 Y:4617792
X:485216 Y:4617788
X:485145 Y:4617771
ზაირა არსენიშვილის ქ.
X:485086 Y:4617648
I ჩიხი
X:485108 Y:4617645
X:485068 Y:4617615
X:485062 Y:4617572
N
1:3,00